



ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები



ადვოკატურის სახლის მშენებლობა დაიწყო

14 იანვარს ერთიანი და დამოუკიდებელი ქართული ადვოკატურის სახლის მშენებლობა დაიწყო. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა და აღმასრულებელმა დირექტორმა თანამედროვე და მაღალი სტანდარტების შენობის მშენებლობას ოფიციალურად ჩაუყარეს საძირკველი.

ადვოკატურის სახლის მშენებლობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

ადვოკატის უფლებების დაცვა

ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის აქტიური ჩართულობით, საანგარიშო კერიოდში ადვოკატთა ასოციაციამ მყისიერი რეაგირება მოახდინა ადვოკატის უფლებების დარღვევის ფაქტებზე. მათ შორის იყო:

ა) ადვოკატ ანა არბანაშვილის განცხადება ადვოკატებზე შესაძლო გზავლასთან დაკავშირებით, რის თაობაზეც გამომძიების დაწყების მოთხოვნით ასოციაციამ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურას მიმართა.

ბ) ადვოკატ შოთა თუთბერიძის განცხადება ადვოკატის მიმართ საპარტალდასვვლების მხრიდან უფლებამოსილების გადახვევის შესახებ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ასოციაციის თავმჯდომარემ ბრიფინგი გამართა და შესაბამისი რეაგირების მოთხოვნით შინაგან საქმეთა მინისტრს და გენერალურ პროკურატურას განცხადებით მიმართა. საქმეზე მიმდინარეობს გამომძიება.

გ) ადვოკატ ნანა ფილაურის განცხადება მასზე სოციალური ქსელების მეშვეობით შეურაცხყოფისა და მუქარის განხორციელების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ასოციაციის ოფისში ბრიფინგი გაიმართა. ასოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა გამომძიების დაწყების მოთხოვნით საპარტალდასვვ ორგანოებს მიმართა.



ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

სექსუალური შევიწროების კრევენციის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები



ადვოკატთა ასოციაციამ USAID/PROLoG-ის აქტიური მხარდაჭერით ადვოკატებისთვის ტრენინგ-მოდული შეიმუშავა თემაზე: „მართლმსაჯულების გაძლიერება თანასწორობის გზით, სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა“.

საანგარიშო პერიოდში ამერიკელი და ქართველი ექსპერტების ჩართულობით ტრენინგები და 4 საპილოტო ტრენინგი ჩატარდა. ასევე, შეიმუშავდა და ამოქმედდა ადვოკატთა ასოციაციის აკარათის „სექსუალური შევიწროების კრევენციისა

და რეგულირების მექანიზმი“, რაც ასოციაციის აკარათში, ნებისმიერი სახის შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს არსებობას უზრუნველყოფს.

ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (ბენი ბარი) მუშაობა

ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი და კანდიდიდან გამომდინარე გარემოებების ფორს-მაჟორად მიჩნევის სამართლებრივი საფუძვლები – ამ თემაზე მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (ბენი-ბარის) მორიგი შეხვედრა ჩატარდა.

ბენი-ბარის მონაწილეებმა ამ მიმართულებით ევყანაში არსებული სამართლებრივი გამოწვევების შესახებ ისაუბრეს.

შეგახსენებთ, რომ მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭო 2020 წელს დაარსდა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ბენი-ბარის ფორმატის ინსტიტუციონალიზაციას.



ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

შეთანხმება სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან

N8 პენიტენციური დაწესებულებაში ადვოკატის ვიზიტებისას შექმნილმა რიგობამ ადვოკატისა და მისი კლიენტის უშუალო კომუნიკაციას განდამიის პირობებში განსაკუთრებული დაბრკოლება შეუქმნა.

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან სხვადასხვა შესაძლებელი ალტერნატივის განხილვის შედეგად, გათვალისწინებულ იქნა ადვოკატთა ასოციაციის წინადადება და მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც:

- 2021 წლის 12 თებერვლიდან N8 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული შეხვედრების ოთახების უმრავლესობა (22 ოთახი) დილის 09:30 საათიდან 14:00 საათამდე მხოლოდ ადვოკატების შეხვედრებს ეთმობა, ხოლო 14:00 საათის შემდეგ კი, ოთახებით სარგებლობის საერთო წესი მოქმედებს;
- ასევე, პროცესის სწორად მართვის მიზნით ხორციელდება დაწესებულების თანამშრომელთა მაქსიმალური მობილიზება.

ასოციაცია აქტიურად აკვირდება აღნიშნული შეთანხმების აღსრულების პროცესს.

ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

კანონი „აზნისტიის შესახებ“

ადვოკატთა ასოციაცია აქტიურად იყო ჩართული „აზნისტიის შესახებ“ კანონის პროექტის შემუშავებისა და განხილვის პროცესში.

ამასთან, ასოციაცია აქტიურად აკვირდება კანონის აღსრულების პროცესს და დარღვევებზე შესაბამის რეაგირებას ასორციელებს.

კერძოდ, ვირველი ინსტანსიის სასამართლოების მიერ არასწორი კრედიტის დაგკვიდრებასთან დაკავშირებით ასოციაციის თავმჯდომარემ ბრიფინგი გამართა და პრობლემის საფრთხეებსა და აღმოფხვრის გზებზე ისაუბრა.



ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები



კრონო პროექტები


წარმატებით დავასრულეთ 2 წლიანი უფასო იურიდიული დახმარების პროექტი: „შპს პირთა და პალიტიური მფრუნველობის საჭიროების შემთხვევაში უფასო იურიდიული დახმარება“. პროექტის ფარგლებში ვვ-მა მოქალაქე კვალიფიციური იურიდიული დახმარება მიიღო. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციართა სასარგებლოდ წარმატებით დასრულდა სასამართლო დავები. კრო-ბონო პროექტი ადვოკატთა ასოციაციამ „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით განახორციელა.

ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

ვებინარების სერია აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე

ადვოკატთა ასოციაცია ვებინარების ჩატარებას აგრძელებს. საანბარიშო კერიოდში ვებინარები ჩატარდა თემაზე:

- საქართველო რუსეთის წინააღმდეგ - ევროკული სასამართლოს გადაწყვეტილება და მოსალოდნელი შედეგები („აგვისტოს ომის“ საქმე).
- გენდერული თანასწორობა და შრომითი დისკრიმინაციის სახეები.
- სამუშაო დროის აღრიცხვის რეგულირება.
- ხელშეკრულების მისადაგება შესვლილი გარემოებებისადმი, ფორს-მაჟორის სამართლებრივი ანალიზი.



ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები



საკვალიფიკაციო გამოცდები

საბამოცდო სესიები 4 მარტს დაიწყო და 12 მარტს დასრულდა. მესტირება 879-მა პირმა საერთო, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის მიმართულებებით გაიარა. აქედან გამოცდა წარმატებით ვვვ-მა პირმა ჩააბარა.



გამოცდაზე ყველაზე მაღალი, 97 ქულა გურამ ცაბარეიშვილმა და სალომე აბულაძემ აიღეს და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დაბულების შესაბამისად, პროგრამის საფასურის გადახდისგან გათავისუფლდნენ. მთა ასოციაციის თავმჯდომარემ გამოცდის დამადასტურებელი სერთიფიკატები გადასცა და წარმატება მიულოცა.

ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

ტრენინგები ადვოკატებისთვის

ადვოკატთა ასოციაციამ განგრძობა იურიდიული განათლების ფარგლებში ადვოკატებისთვის საანგარიშო პერიოდში 12 ტრენინგი ჩაატარა თემათა:

წარმომადგენლობა პროვითი დავების შედინაში; შრომის სამართალი; ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები; მართლმსაჯულების გაძლიერება თანასწორობის გზით, სექსუალური შვიწროების აღმოფხვრა;

ტრენინგები საერთო ჯამში 327 ადვოკატი მონაწილეობდა.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში გავვთა უფლებების სვეციალიზაციის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მიმართულებებით 2 კურსი ჩატარდა, რომელშიც 95 ადვოკატი მონაწილეობდა, აქედან 90-მა მესტირება წარმატებით ჩააბარა.





ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

ახალი კორტალი



2021 წლიდან ადვოკატთა ასოციაციის ახალი ვებ-კორტალი სრულად ამოქმედდა. კორტალის საშუალებით ასოციაციის წევრებს, მედორ ადვოკატებს, ადაპტაციის პროგრამისა და მოსამზადებელი კურსის მსმენელებს, შესაძლებლობა აქვთ სრულად დისტანციურად მართონ საბანანათლებლო პროცესები.

ახალი ვებ-კორტალის მართვი გამოყენებისთვის სპეციალური ვიდეო დაგზავდა, რის შესახებაც მოკლე ტექსტური შეთხრობინებები გაეგზავნათ ასოციაციის წევრებს.

ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

შეხვედრა საფრანგეთის ელჩთან

ადვოკატთა ასოციაციას გაცნობითი შეხვედრის მიზნით საფრანგეთის ელჩი, დიეგო კოლასი ეწვია. შეხვედაზე მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ გამოწვევებსა და ამ პროცესში ადვოკატთა ასოციაციის როლის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. დიეგო კოლასმა ასოციაციასთან სამომავლო თანამშრომლობის გზადადგინა გამოთქვა.



ადვოკატთა ასოციაციის აქტივობები

ადვოკატთა ასოციაცია გაეროს გლობალური შეთანხმების წევრი გახდა



ჩვენს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც 2018 წლიდან სხვადასხვა პრობონო პროექტს აქტიურად ვახორციელებთ. გაეროს გლობალური შეთანხმება მსოფლიოში ყველაზე დიდი კორპორაციული, სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივაა, რომელიც ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულ, ინკლუზიურ და მდგრად განვითარებას უწყობს ხელს.